კონცეპტუალიზაციის პროცესის შესწავლის ძირითადი მიმართულებები

ნონა კოპალიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nonliani@gmail.com

DOI: https://doi.org/10.52340/lac.2022.939

სტატიაში განხილულია ლინგვისტური კონცეპტუალიზაციის პროცესის კვლევის აქტუალობა, კონცეპტუალიზაციის როგორც ლინგვისტური ცნების რაობა და ის ძირითადი პრობლემატიკა, რომელიც მეცნიერთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. თანამედროვე ლინგვისტიკაში კონცეპტუალური დონის არსებობა საყოველთაოდ აღიარებულია, თუმცა აზრთა სხვადასხვაობა ეხება მისი სტატუსის განსაზღვრის საკითხს. ნაშრომში ნაჩვენებია განსხვავებული შეხედულებები კონცეპტუალური დონის სტატუსთან დაკავშირებით; საუბარია მის შინაარსზე და დონეებზე; გამოყოფილია ფუნდამენტური კონცეპტები და ხაზგასმულია მათი გამოყენება კონცეპტუალურ სისტემაში. კონცეპტუალიზაცია განხილულია, როგორც ორმხრივი მოვლენა: როგორც ადამიანის მიერ ინფორმაციის კოგნიტური გადამუშავების დინამიკური პროცესი, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან გარესამყაროს, ადამიანის შინაგან სამყაროს და ენობრივ სურათს; და როგორც შედეგი - კონცეპტების სახით სტრუქტურირებული სამყაროს სურათი. ნაშრომში დახასიათებულია კონცეპტუალიზაციის პროცესის მთავარი თვისებები: მისი ინჰერენტული, ანუ არსობრივად დინამიური [ლანგაკერი] და ონტოლოგიური [რუზინი] ბუნება. სწორედ ეს მახასიათებლები განსაზღვრავენ კონცეპტების არამდგრად, მოქნილ ბუნებას, ვერბალური და არავერბალური კონცეპტუალური შინაარსის არსებობას. ნაშრომში განხილულია აგრეთვე კონცეპტუალური სისტემის არაერთგვაროვნება, რაც იმაში გამოიხატება, რომ მის ცალკეულ მონაკვეთებს განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ საერთო სტრუქტურაში.

საკვანძო სიტყვები: კონცეპტუალიზაცია, დინამიური, ონტოლოგიური, ვერბალერი, არავერბალური

ლინგვისტიკა თავისი თანამედროვე ტენდენციებით აქტუალურ კვლევის სფეროდ განიხილავს სინამდვილის ლინგვოკოგნიტური მოდელირების და ამ პროცესში კონცეპტუალიზაციის როლის, ამ მოვლენის არსის და პრინციპების შესწავლას. კონცეპტუალიზაცია განიხილება, როგორც ერთ-ერთი მთავარი პროცესი

ადამიანის შემეცნებით აქტივობაში, რომელიც უკავშირდება როგორც მის ცალკეულ მდგენელებს - მეხსიერებას, წარმოსახვას, ყურადღებას, ისევე მთლიანად პიროვნების შემეცნებით შესაძლებლობებს. კონცეპტუალიზაციის მეშვეობით ადამიანი ეცნობა მის გარშემო არსებულ სინამდვილეს და საკუთარ შინაგან სამყაროს, აცნობიერებს მიღებულ ინფორმაციას და აყალიბებს, აწყობს და სტრუქტურულად ალაგებს ცოდნას სამყაროს შესახებ, ამ პროცესების შედეგები კი აისახება ენაში. სწორედ ეს უკანასკნელი დებულება იწვევს ენათმეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას.

აშკარაა, რომ კონცეპტუალიზაცია - ორმხრივი პროცესია. ერთი მხრივ, ის დაკავშირებუ-ლია გარესამყაროს არსის, ადამიანის შინაგანი სამყაროს და ენობრივი სამყაროს გააზრებასთან. მეორე მხრივ, მას მივყავართ გაცნობიერებული მოვლენების შესახებ კონცეპტების, ანუ ცოდნის სტრუქტურების ჩამოყალიბებამდე. ამრიგად, სრულიად ლოგიკურია კონცეპტუალიზაციის განხილვა დინამიკურად: როგორც ადამიანის მიერ ინფორმაციის კოგნიტური გადამუშავების პროცესი და შედეგი.

რ. ლანგაკერი საუბრობს კონცეპტუალიზაციის ინჰერენტულ, ანუ არსობრივად დინამიურ ბუნებაზე [ლანგაკერი 1990], ხოლო ჟ. ვერნო ხაზს უსვამს მოქმედების მთავარ როლს კონცეპტუ-ალიზაციის პროცესში, რომელიც, მისი აზრით, იქმნება ენისა და მოქმედების შედეგად [ვერნო 1995]. უფრო მეტიც, როგორც ე. მ. პოზდნიაკოვა აღნიშნავს, ადამიანის მიერ სამყაროს კონცეპტუ-ალიზაცია ხდება მოქმედების პროცესში, ვინაიდან სწორედ „მოქმედების/მოღვაწეობის პროცეს-ში“ (მისი ფართო გაგებით) ხორციელდება აღქმის სისტემის ფუნქციონირებაც, კოგნიტური შესაძლებლობების განვითარებაც და ცოდნის სტრუქტურების ფორმირებაც [პოზდნიაკოვა 2000: 24]. ამრიგად, დინამიურობა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც კონცეპტუალიზაციის მთავარი თვისება.

კონცეპტუალიზაციის კიდევ ერთი თვისება, რომელიც განიხილება მეცნიერთა მიერ, მისი ონტოლოგიური ბუნებაა. ი. გ. რუზინი აღნიშნავს, რომ „ობიექტის ონტოლოგიური ბუნება განსაზღვრავს კონცეპტუალიზაციის მრავალი ხერხის შესაძლებლობას, რომლებიც გარკვეული სახით კოდიფიცირდება ენაში“ [რუზინი 1996: 49]. ონტოლოგია, მისი აზრით, განსაზღვრავს არა კონცეპტუალიზაციის აუცილებლობას, არამედ შესაძლებლობების ერთობლიობას, ნაკრებს. ამიტომ კონცეპტუალიზაციას აქვს არა მკაცრად განსაზღვრული, არამედ მოქნილი და ხშირ შემთხვევაში არათანმიმდევრული ხასიათი, ვინაიდან მთელი რიგი შესაძლებლობებიდან რომელიღაც ერთ შემთხვევაში (რომელიმე ერთ სფეროში, რომელიღაც ერთ დონეზე) რეალიზდება ერთი კონკრეტული შესაძლებლობა, ხოლო სხვა შემთხვევაში - სულ სხვა. კონცეპტუალიზაციის ონტოლოგიური ბუნება იძლევა საშუალებას ვივარაუდოდ, რომ სხვადასხვა ენობრივ დონეზე ხდება

კონცეპტუალიზაციის შესაძლებლობებისა და ხერხების ნაწილის რეალიზება, რომლებიც ვერბალიზირებულია ამა თუ იმ ენობრივი ერთეულებით.

ამრიგად, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე, ვრწმუნდებით, რომ ენობრივი კონცეპტუალიზაციის პროცესების კვლევისთვის მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს დებულებებად უნდა იქნას განხილული დებულებები კონცეპტუალიზაციის დინამიკური და ონტოლოგიური ბუნების შესახებ.

კონცეპტის დინამიური და არავერბალური ბუნება იძლევა საფუძველს წარმოადგინოს კონცეპტი არა როგორც სტატიკური ერთეული, არამედ როგორც ერთგვარი არახისტი სტრუქტურა, რომელიც მუდმივ განვითარებაშია და ასახავს ადამიანის მთელი შემეცნებითი საქმიანობის შედეგებს. ამავდროულად, ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ მხოლოდ ზოგიერთი კონცეპტი განიცდის ენობრივ ობიექტივიზაციას. ეს იძლევა საფუძველს გაიმიჯნოს ვერბალური და არავერბალური კონცეპტუალური შინაარსი, ასევე კონცეპტი როგორც მენტა-ლური რეპრეზენტაცია მის ვერბალიზაციამდე და ვერბალიზაციის შემდეგ. ზემოაღნიშნული-დან გამომდინარე, ენობრივი კონცეპტუალიზაციის კვლევისას მნიშვნელოვანია გათვალისწინე-ბულ იქნას ორი ჰიპოსტასის არსებობა კონცეპტთან დაკავშირებით: კონცეპტი როგორც ცოდნის ერთეული და კონცეპტი როგორც ცოდნის სტრუქტურა, გამოხატული ენობრივი ფორმებით.

კონცეპტუალური დონე, როგორც ცოდნის წარმოდგენის ერთიანი დონე, აერთიანებს ინფორმაციის სხვადასხვა ტიპებს (ლინგვისტურს, სენსორულს, მოტორულს) [ჯეკენდოფი 1984] და განსაზღვრავს ენის სტრუქტურულ ორგანიზებას და მის ფუნქციონირებას მოქმედებს რა როგორც სისტემის ფორმირების ფაქტორი [ბოლდირევი 1995]. ავითარებს და აყალიბებს რა ამ იდეას, ნ.ნ. ბოლდირევი ხაზს უსვამს, რომ კონცეპტუალური დონე „უზრუნველყოფს ენობრივი ნიშნების სისტემატიზაციას, არჩევას და აწყობს კონკრეტული აზრების გადმოცემის მიზნით და ტექსტების გააზრებისას მათი ინტერპრეტაციისთვის“ [ბოლდირევი 2000]. ამავდროუად მნიშვ-ნელოვანია გვახსოვდეს, რომ კონცეპტუალური დონე არა მხოლოდ კონცეპტებისა და კონცეპტთა კლასის სისტემაა, არამედ კატეგორიებად დაყოფილი მნიშვნელობებისა და აზრების დონე. კატეგორიებად დაყოფილი აზრების მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ სწორედ ისინი და არა ცალკეული კონცეპტები უდევს საფუძვლად გრამატიკულ კატეგორიებს (მათ შორის მორფოლოგიურსაც).

კონცეპტუალური დონისა და სემანტიკური დონის დიფერენციაცია გამოიხატება ენისგან კონცეპტის დამოუკიდებლობაში, რაც ადასტურებს არავერბალური აზროვნების ფაქტს. ამასთან, აუცილებელია ხაზი გავუსვათ

კონცეპტუალური და სემანტიკური დონეების ურთიერთქმედე-ბას, რასაც მოწმობს შემდეგი ფაქტები: პირველი, ენა ასახავს კონცეპტუალიზაციის პროცესის შედეგებს. შედეგად, კონცეპტუალური შინაარსი ვლინდება ენის საშუალებით; მეორეც, თავად ენა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამყაროს შესახებ ცოდნის ფორმირების, ორგანიზებისა და სტრუქტურირების პროცესში (ანუ კონცეპტუალიზაციის პროცესში) და კონცეპტუალური სისტე-მის შექმნასა და გაფართოებაში. ეს ურთიერთქმედება გამოიხატება იმაში, რომ სემანტიკას აქვს კავშირების ორი მიმართულება - კონცეპტუალური სისტემისკენ და ენობრივი სისტემისკენ აგრეთვე. ამრიგად სემანტიკა გვევლინება როგორც მაკავშირებელი „ხიდი“ ენის სისტემასა და კონცეპტუალურ სისტემას შორის. კონცეპტუალური და სემანტიკური დონეების ურთიერთქმე-დება განსაზღვრავს ენობრივი „წარმოშობის“ ერთეულების არსებობას კონცეპტუალურ სისტემაში, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ენობრივი ერთეულების განუყოფელ კავშირს კონცეპტუალურ სისტემასთან.

კონცეპტუალური შინაარსის ორმხრივი კავშირი ენასთან იმაში გამოიხატება, რომ ერთი მხრივ, კონცეპტუალური შინაარსის ანალიზი ენის გარეშე შეუძლებელია, ვინაიდან ცნობიერების სხვა წვდომა არ არსებობს; მეორე მხრივ, კონცეპტუალური შინაარსის ანალიზის გარეშე შეუძლებელია აიხსნას ენობრივი ფორმების გამოყენება. თავად ენა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამყაროს შესახებ ცოდნის ფორმირების, ორგანიზების და სტრუქტურირების პროცესში (ანუ კონცეპტუალიზაციის პროცესში) და კონცეპტუალური სისტემის შექმნასა და გაფართოებაში. თავის მხრივ, ენობრივი მნიშვნელობები (მაგალითად, ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობები) დაკავშირებულია ადამიანის წარმოდგენასთან სამყაროს შესახებ, ე.ი. დაკავშირებულია მის კონცეპტუალურ სისტემასთან. ენას აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ერთიდაიგივე ობიექტისა და ერთიდაიგივე სიტუაციის სხვადასხვაგვარი კონცეპტუალიზაცია. შესაძლებლობას გადმოსცეს ერთიდაიგივე აზრი ალტერნატიული საშუალებებით ე. ს. კუბრი-აკოვა მიიჩნევს ენაში კონცეპტუალური სისტემის რეალიზაციის გამორჩეულ თვისებად [კუბრიაკოვა 2004]. ეს საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ ლინგვისტური კონცეპტუალიზაციის სხვადასხვა დონისა და მექანიზმის არსებობაზე. ასე მაგალითად, რაოდენობა, დრო, კუთვნილე-ბითი დამოკიდებულება კონცეპტუალიზდება პრაქტიკულად ენის ყველა დონეზე (ლექსიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური), რაც, თავის მხრივ, მოწმობს ამ ფენომენების მნიშვნელობას ადამიანის კონცეპტუალური სისტემისთვის. როგორც ე.ს. კუბრიაკოვა აღნიშნავს, „რაც უფრო მნიშვნელოვანია კონცეპტი ადამიანის აზროვნებისთვის, მით უფრო რთული ენობრივი საშუალებებითა და ენობრივი ფორმების სისტემით შეიძლება იქნას იგი გამოხატული“ [კუბრიაკოვა 2004: 313].

ერთიდაიგივე კონცეპტის რეპრეზენტაცია შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით: ლექსიკური, ფრაზეოლოგიური, გრამატიკული და სხვა.

კონცეპტუალური სისტემის არაერთგვაროვნება გამოიხატება იმაში, რომ მის ცალკეულ მონაკვეთებს აქვთ განსხვავებული მნიშვნელობა საერთო სტრუქტურაში. სწორედ ამ ვითარების საფუძველზე გამოჰყოფენ კონცეპტუალური სისტემის ძირითად და არაძირითად (ფუნდამენტური/საბაზისო და არაფუნდამენტურ) კონცეპტებს. ფუნდამენტური კონცეპტები განაპირობებენ კონცეპტუალური სისტემის მოწესრიგებულობასა და დინამიზმს. აღნიშნული დებულების დასაბუთებას ვპოულობთ რ.ჯეკენდოფის, ლ.ტალმის, ჯ.ლაკოფის [ჯეკენდოფი 1984, ტალმის 2000, ლაკოფი 2004]. კოგნიტურად ორიენტირებულ თეორიებში.

ლინგვისტური კონცეპტუალიზაციის პროცესის შესწავლა მოიცავს რამდენიმე ეტაპს, თითოეულ მათგანზე ხდება დონეების, ენობრივი და კოგნიტური მექანიზმების, ასევე დამატებითი ლინგვისტური ფაქტორების თანმიმდევრული დადგენა, რომლებიც უზრუნველყოფენ სამყაროს შესახებ ცოდნის სტრუქტურირებას. კონცეპტუალიზაციის პროცესის შესწავლის ძირითად მიმართულებებად შესაძლოა ჩაითვალოს მისი განხილვა არავერბალური და ვერბალური მდგომარეობის გათვალისწინებით. არავერბალური გულისხმობს დინამიურ ხასიათს, ხოლო ვერბალური ონტოლოგიურს. არავერბალური მოიაზრება, როგორც პროცესი და ვერბალური აღიქმება, როგორც შედეგი.

ადამიანის ცნობიერებას, რომელიც აყალიბებს სამყაროს იდეალურ გამოსახულებას ენაში, ყოველთვის აქვს ემოციური შეფერილობა, რაც ასევე აისახება სამყაროს ენობრივ გამოსახულებაში. სამყაროს კონცეპტუალური სურათის ქვეშ გაიგება გლობალური, ჰოლისტიკური, უწყვეტლივ ფორმირებადი ინფორმაციული სისტემა, რომელსაც ინდივიდი განაგებს. ეს არის ადამიანის იდეებისა და ცოდნის ერთობლიობა სამყაროს შესახებ, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს ადეკვატურად აღიქვას მის გარშემო არსებული სამყარო და შეიცნოს იგი. ე.ს. კუბრიაკოვას აზრით, სამყაროს კონცეპტუალური სურათი წარმოადგენს ადამიანის ფსიქიკასა თუ ინტელექტში მენტალური დონის ფუნქციონალურ ერთგვაროვნებას. სამყაროს კონცეპტუალური სურათის ვერბალიზებულ ნაწილს მოიხსენიებენ „ენობრივ სურათად“ ან „შინაგან ლექსიკონად“. კუბრიაკოვას განმარტებით, ეს არის ცოდნა „ენაში“ და „ენის შესახებ“ [კუბრიაკოვა 1991: 239]. ამ მიდგომის პოზიციიდან, სამყაროს ენობრივი სურათი იმყოფება კონცეპტუალიზაციის დაქვემდებარებაში, ანალოგიურად იმისა, როგორც აზრი ენაში ფიქსირდება არა მთლიანი მოცულობით: სიტყვიერ გამოხატულებას პოულობს მხოლოდ მისი ყველაზე არსებითი ასპექტები. სამყაროს კონცეპტუალური სურათი ინახავს ბევრად უფრო მეტ ინფორმაციას, „სწორედ ლექსიკონი წარმოაჩენს გარემომცველი რეალობის დანაწევრებას და

განასხვავებს ინდივიდის გარე და შინაგანი სამყაროს ცალკეულ სიდიდეებს, რადგან ყველაფერი, რაც ვერბალიზირდება, გამოყოფილია ადამიანის გონებით და შესულია ადამიანის ცოდნის ფონდში“ [ფესენენკო 1999: 111].

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კონცეპტუალიზაციის პროცესის შესწავლა მრავალი მეცნიერის ინტერესის საგანია. მათ მიერ განხილული დებულებები მკვეთრად უსვამს ხაზს კონცეპტუალიზაციის პროცესის რთულ ხასიათს და მის მნიშვნელობას ადამიანის შემეცნებით, მენტალურ საქმიანობაში და ნათელს ხდის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ენის როლი ამ პროცესში.

ლიტერატურა:

1. Болдырев Н.Н. Функциональная категоризация английского глагола: дис. ... д-ра филол. наук. - СПб., 1995.
2. Болдырев Н.Н. Когнитивная семантика. - Тамбов, 2000.
3. Верньо Ж. К интегративной теории представления // Иностранная психология. - М., 1995. -Т . 3, № 5. - С. 9-17.
4. Кубрякова Е.С. Язык и знание: На пути получения знаний о языке: Части речи с когнитивной точки зрения. Роль языка в познании мира. - М.: Языки славянской культуры, 2004.
5. Кубрякова Е. С. Человеческий фактор в языке: Язык и порождение речи. М.: Наука, 1991. 239 с.
6. Langacker R.W. Concept, Image, and Symbol: the Cognitive Basis o f Grammar. - Berlin; N.Y.: Mouton de Gruyter, 1990. - 383 p.
7. Лакофф Дж. Женщины, огонь и опасные вещи: Что категории языка говорят нам о мышлении. - М.: Языки славянской культуры, 2004.
8. Позднякова Е М. Концептуальная организация производного слова // Когнитивная семантика: Мат-лы Второй международной школы-семинара по когнитивной лингвистике. - Тамбов, 2000. - Ч. *2. - С.* 23-27.
9. Рузин И Г. Возможности и пределы концептуального объяснения языковых фактов // Вопросы языкознания. - 1996, № 5. - С. 39-50.
10. Talmy L. 2000. Toward a cognitive semantics. Vol. 1 // Cambridge.: MIT press, 2000. Cambridge (Mass), L.: A Bradford Book, The MIT Press.
11. Фесенко Т. А. Реальный мир и ментальная реальность: парадигмы взаимоотношений. Тамбов: Изд-во ТГУ им. Г. Р. Державина, 1999. 247 с.
12. Jackendof R. Semantics and Cognition. - Cambridge, M.A.: The MIT Press, 1984.

Nona Kopaliani
Akaki Tsereteli State University

Basic studying directions of conceptualization process

Abstract

The article discusses the actuality of researching the process of linguistic conceptualization, the nature of conceptualization as a linguistic concept and the main problems that are of particular interest to scholars. The existence of a conceptual level in modern linguistics is widely acknowledged, although there are different opinions relate to the issue of determining its status. The paper shows different views on the status of the conceptual level. It talks about its content and levels; The fundamental concepts are highlighted and their usage in the conceptual system is emphasized. Conceptualization is viewed as a two-way event: as a dynamic process of human cognitive processing of information that connects(combines) the external world, the human inner world, and the linguistic picture; And as a result - a picture of a world structured in the form of concepts. The paper describes the main features of the conceptualization process: its inherent, i.e. essentially dynamic [Langaker] and ontological [Ruzin] nature. Exactly these characteristics define the unstable, flexible nature of concepts, the existence of verbal and nonverbal conceptual content. The paper also discusses the heterogeneity of the conceptual system, which is reflected in the fact that its individual sections have different meanings in the overall structure.

Key words: conceptualization, dynamic, ontological, verbal, nonverbal

რეცენზენტი: პროფესორი ციური ახვლედიანი